სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	ეკონომიკა Economics
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ეკონომიკის დოქტორი Ph.D in Economics
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სასწავლო კომპონენტი - 50 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სემესტრი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა პროფესორი რევაზ გველესიანი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[1]	• მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი (საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად აღიარებული დიპლომი). • ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი სერთიფიკატით. ევროპული სამეცნიერო ენის გამოცდისაგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენისაგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ გავლილი აქვს საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთ იმ ენაზე, რომელიც წარმოადგენს სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას (უცხო ენის ცოდნის დონეების განმარტება იხ. ლინკზე https://www.tsu.ge/data/file_db/academic_orders/2452018_d2.pdf). დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც ქართულენოვან

[1] პროგრამაზე ვაკანტური ადგილები და გასაუბრების ვადები განისაზღვრება თსუ რექტორის ბრძანებით და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

	პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის C1 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში. • გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან (იხ. ბმული: https://old.tsu.ge/ge/faculties/economics/study/docprogram/bey5owu0plk35ymfg/; დანართი 2)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და პასუხისმგებლიანი კადრების მომზადება, რომლებსაც აქვთ ეკონომიკის დარგსა და სწავლების სფეროში უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნა, შეუძლიათ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ორიგინალური კვლევების დამოუკიდებლად წარმართვა, მიღებული შედეგებით წვლილის შეტანა ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაში, თანამედროვე მეთოდებით სწავლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
სწავლის შედეგები	სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება: **ცოდნა და გაცნობიერება** • ეკონომიკაში უახლესს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის ინტერპრეტირება კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. • რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უახლესი და ინოვაციური მეთოდების იდენტიფიცირება მულტიდისციპლინურ კონტექსტში პრობლემის დამოუკიდებლად გამოკვლევისა და გადაწყვეტისთვის. **უნარი** • ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული რელევანტური კვლევითი და ანალიტიკური მიდგომებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება; • ინოვაციური და ორიგინალური კვლევის პროცესში რთული, წინააღმდეგობრივი მიდგომების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა; • საკუთარი ორიგინალური კვლევის შედეგებისა და ახალი პარადიგმების არგუმენტირებულად წარდგენა აკადემიური, პროფესიული და ფართო საზოგადოების წინაშე; • უახლესი ცოდნისა და საკუთარი კვლევის საფუძველზე სამეცნიერო პუბლიკაციის შექმნა, რომელიც საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციის აუცილებელი სტანდარტის დონეს შეესაბამება;

	• სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება. **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** • ეთიკური წესებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ინოვაციურობის დემონსტრირებით ორიგინალური კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად განხორციელება
სწავლა-სწავლების მეთოდები	• ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • წერითი მუშაობის მეთოდი • ჯგუფური მუშაობა • დისკუსია/დებატები • ახსნა–განმარტებითი მეთოდი • თანამშრომლობითი სწავლება • პროექტი/რეფერატი • პრეზენტაცია • დემონსტრირების მეთოდი • გონებრივი იერიში • შემთხვევის ანალიზი • საექსპერტო შეფასება • ონლაინ/ელექტრონული სწავლებისა და სხვ. მეთოდი
შეფასების სისტემა	სასწავლო კომპონენტი შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც

	ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს: დადებითი შეფასება: ა) ფრიადი (სუმმა ცუმ ლაუდე) - შესანიშნავი ნაშრომი; ბ) ძალიან კარგი (მაგნა ცუმ ლაუდე) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება; გ) კარგი (ცუმ ლაუდე) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (ბენე) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს; ე) დამაკმაყოფილებელი (რიტე) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს. უარყოფითი შეფასება: ვ) არადამაკმაყოფილებელი (ინსუფფიციენტ) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო; ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (სუბ ომნი ცანონე) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
დასაქმების სფეროები	ეკონომიკის დოქტორებს შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში აკადემიურ პოზიციებსა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონცეფციითა და წესებით.

	ეკონომიკის დოქტორის დასაქმების სფეროს, ასევე, განეკუთვნება ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციები, გაერთიანებები, მსხვილი კორპორაციები, კონსალტინგური ცენტრები, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და სხვ.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში საქართველოს მოქალაქეებისათვის. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სტუდენტთა განკარგულებაშია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არსებული რესურსები, მათ შორის: ბიბლიოთეკა, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურს-ცენტრები, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა. იხ. თვითშეფასებით გათვალისწინებული დანართი N5
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით. იხ. თვითშეფასებით გათვალისწინებული დანართი N11
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა: • სასწავლო კომპონენტისათვის განკუთვნილი კრედიტების სრულად ათვისება (50 კრედიტი); • სამეცნიერო ხელმძღვანელის და შესაბამისი კომისიის მიერ დადებითად შეფასებული ორი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი; • სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული ორი სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნება ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/სამეცნიერო კომიტეტი. ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს Scopus-ის ან Web of Science-ის ინდექსირებულ ბაზებში.

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: ***ეკონომიკისა და ბიზნესის***
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: ***ეკონომიკა***
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ***ეკონომიკა***
სწავლების საფეხური: ***დოქტორანტურა***
კრედიტების რაოდენობა: ***50 ECTS***
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები: ***აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი რევაზ გველესიანი***
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: თსუ აკადემიური საბჭოს 29 ივნისის 2011 წლის დადგენილება №57, დანართი 84
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2011-2012

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები: 35 კრედიტი												
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ავტორი / ავტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომის	გაზაფხულის	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი	პრაქტიკუმი/ ლაბორატო-რიული						
1		სწავლა/სწავლების	5	60		-	65	125	წინაპირობის			ე. ღვინერია

		მეთოდები და სტრატეგიები							გარეშე		
2		კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		მ. თოქმაზიშვილი
3		მიკროეკონომიკის თეორია	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		ე. ხარაიშვილი ქ. ბიჭია
4		მაკროეკონომიკა III	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		ნ. კაკულია მ. ჩიქობავა
5		პროფესორის ასისტენტობა	5	45			80	125	სწავლა/სწავლების მეთოდები და სტრატეგიები		რ. გველესიანი
6		დარგობრივი სემინარი	10	15			235	250	კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში		ნ. თოდუა
არჩევითი სასწავლო კურსები: 15 კრედიტი											
1		არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა	10	30	30	-	190	250	წინაპირობის გარეშე		ვ. პაპავა
2		ეკონომეტრიკული ანალიზი	5	15	15	15	80	125	წინაპირობის გარეშე		ი. ანანიაშვილი
3		სტატისტიკური პროგნოზირების მეთოდები ეკონომიკასა და ბიზნესში	5	15	15	15	80	125	წინაპირობის გარეშე		ს. გელაშვილი
4		აკადემიური წერა	5	15	-	30	80	125	წინაპირობის გარეშე		გ. შაბაშვილი
5		ეკონომიკური პოლიტიკა III	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		რ. გველესიანი ი. გოგორიშვილი

6		უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5	15	30	-	80	125	წინაპირობის გარეშე		ქ. ჭკუასელი
7		უცხოეთის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსმენილი სასწავლო კურსები (შეფასების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში)	10								

კვლევითი კომპონენტი:
ორი სამეცნიერო -კვლევითი პროექტი (არაუადრეს III სემესტრისა);
სადისერტაციო ნაშრომის მომზადება;
დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————

თარიღი ——————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი